



საქართველოს
პირველი არხი

საზოგადოებრივი მაუწყებლის
სამხატვრო საბჭოს
დაბუღება

1 საზოგადოებრივი მაუწყებლის (შემდგომში - პირველი არხი) სამხატვრო საბჭო კასუხისმგებელია პირველი არხის პროგრამების შემოქმედებით ნაწილის მართვაზე: პროგრამული სტრატეგია, ეთერში ახალი და მიმდინარე გადაცემების/პროექტების (თელა, რადიო, ონლაინ) განთავსება და მონიტორინგი.

2 საბჭოს ხელმძღვანელოვს თავმჯდომარე - მედია დირექტორი. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს საბჭოს თავმჯდომარის მიერ საბჭოს შემადგენლოგიდან დანიშნული პირი.

3 საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

- პირველი არხის კონცეფციის, პროგრამული სტრატეგიის, ასევე სტრატეგიაში ცვლილებების შემუშავება და გენერალური დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- დამტკიცებული პროგრამული სტრატეგიის შესაბამისი წლიური გეგმის შემუშავება და ყველა ეტაპზე შესრულების მონიტორინგი;
- მაუწყებლობის პროგრამირების, მათ შორის, საგანგებო მდგომარეობის (Breaking News) და განსაკუთრებული მოვლენებისას (დღესასწაულები და სხვ.) დაგეგმვის და მიმდინარეობის მონიტორინგი;
- ახალი პროექტების (როგორც შიდა, ასევე გარე წარმოების) განხილვა (საჭირო ფინანსური, ტექნიკური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით) და წარმოებაში ჩაშვება;
- არსებული გადაცემების/პროექტების შეჩერება ან/და წარმოებიდან ამოღება;
- არსებული გადაცემების/პროექტების შეფასება წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების შესაბამისად და გენერალური დირექტორისთვის შესაბამისი რეკომენდაციების (პროექტის არსებული სახით დარჩენის, მისი ცვლილების, შეწყვეტის, ბაღეში პოზიციონირების თაობაზე) მომზადება;
- პროგრამების სანარმოო ციკლის დაგეგმარება და პროცესის მონიტორინგი;
- შესასყიდი მექანიკური პროდუქციის შერჩევა და ეთერში განთავსების შედეგების შეფასება.

4 საბჭოს შემადგენლოვას განსაზღვრავს საბჭოს თავმჯდომარე და დასამტკიცებლად წარუდგენს გენერალურ დირექტორს. საჭიროების შემთხვევაში, საბჭოს თავმჯდომარის ან საბჭოს წევრების ინიციატივით, საბჭოს მუშაობაში შეიძლება ჩაართოს/დაეხმოს პირველი არხის სხვა თანამშრომელ(-ებ)ი.

- 5 საბჭოს სხდომის დღის წასრიგს ადგენს საბჭოს თავმჯდომარე პირველი არხის მიმდინარე საქმიანობის ან/და საბჭოს წევრების წინადადებაების გათვალისწინებით.
- 6 საბჭოს სხდომა თარდაბა არანაკლებ კვირაში ერთხელ. საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებს უზრუნველყოფს საბჭოს მდივანი.
- 7 საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომაზე, ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმაგის თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტიან საბჭოს თავმჯდომარის ხმა. საბჭოს გადაწყვეტილება ი დასამტკიცებლად წარადგინება გენერალურ დირექტორს.
- 8 საბჭოს სხდომა უფლება მოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. საბჭოს სხდომაზე დგება ოქმი. საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.
- 9 თუ საბჭოს წევრს ან/და საბჭოს მუშაობაში ჩართულ თანამშრომელს საკმარისი საფუძველი აქვს ივარაუდოს, რომ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან შეიძლება წარმოიშვას ასეთი კონფლიქტი, იგი ვალდებულია, ამის შესახებ აცნობოს საბჭოს თავმჯდომარეს.
- 10 ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს წევრთა ან/და საბჭოს მუშაობაში ჩართულმა თანამშრომელმა ყველა სათანადო ზომა უნდა მიიღოს. ვითარებიდან გამომდინარე, საბჭოს წევრს ან/და საბჭოს მუშაობაში ჩართულ თანამშრომელს შესაძლოა გარკვეულ საკითხებზე მუშაობაში დროებით შეეზღუდოს უფლება მოსილება.
- 11 სავალდებულოა საბჭოს წევრის ან/და საბჭოს მუშაობაში ჩართული თანამშრომლის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ინფორმაცია აისახოს საბჭოს თავმჯდომარისთვის აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებიდან პირველივე სხდომის ოქმში.